ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების განვითარების სტრატეგია

2016-2019

თბილისი 2016

შესავალი

1918 წელს გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს საქართველოს ერთ–ერთი წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასშტაბით ერთ–ერთი უდიდესია საქართველოში. დღეისთვის თსუ–ს 7 ფაკულტეტზე 22 ათასამდე სტუდენტი სწავლობს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საზოგადოებას სასწავლო პროგრამების მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს. აქ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამებიც ხორციელდება.

არსებული სიტუაციის ზოგადი მიმოხილვა

ბოლო წლებში საქართველოს განათლების სისტემამ ძირეული ცვლილებები განიცადა, როგორც სტრუქტურულ ისე შინაარსობრივ დონეზე. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და ტექნოლოგიურმა პროგრესმა, საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების რაოდენობის ზრდამ, სახელმწიფო უნივერსიტეტების საბაზო დაფინანსებიდან ვაუჩერულ დაფინენსებაზე გადასვლამ, განათლების კომერციალიზაციამ, სტუდენტთა მზარდმა მობილობამ და შრომით ბაზარზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების მიმართ მზარდმა ინტერესმა თსუ–ს დაძაბული კონკურენტული აკადემიური და ფინანსური გარემო შეუქმნა, რამაც მას უბიძგა საზოგადოების უფრო ფართო ფენების მოზიდვის მიზნით თსუ–სათვის მანამდე არატრადიციული ტიპის სასწავლო პროგრამების (ისეთი სასწავლო პროგრამები, რომლებიც არ ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხის მინიჭებას) შექმნისა და დამატებითი დაფინანსების წყაროების ძიებისაკენ.

გარდა ამისა, 2005 წელს ბოლონიის დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, ბოლონიის პროცესის ძირითადი პრინციპების იმპლემენტაცია მოახდინონ, რომელთაგან სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე / უწყვეტი განათლება ერთ–ერთი უმთავრესი და იმავდროულად საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პირობაა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #14–ით (19–03.2007) დამტკიცებული უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ–ერთი ძირითადი სტრატეგიული მიზანი იყო თსუ–ში უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა. ამ მიზნით 2009 წელს შეიქმნა აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი. 2010 წლის 25 ივნისის აკადემიური საბჭოს დადგენილება № 78/2010–ის თანახმად დამტკიცებულ უნივერსიტეტის მისიაში აღნიშნულია, რომ თსუ–ის მისიის მნიშვნელოვანი ნაწილია უწყვეტი განათლების ხელშეწყობა.

2011 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის SIRUS-ის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით შეიქმნა თსუ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის (ამჟამად უწყვეტი განათლების ცენტრის) სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის ძირითადი პუნქტებიც წარმატებით განხორციელდა და დაინერგა 2011-2014 წლების განმავლობაში.

2011 წლის იანვრიდან აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ინიციატივით თსუ გახდა EUCEN–ის (საუნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ევროპული ასოციაცია) წევრი. თსუ ჯერჯერობით ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოსა და ამიერკავკასიაში, რომელიც აღნიშნული ორგანიზაციის წევრია.

2014 წელს თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის სტრატეგიული განვითრების გეგმა გადაიხედა და ახალი ამოცანები დაემატა TEMPUS პროექტის SSRULLI-ს („Strengthening the Specific Role of Universities as LLL Institutions, SSRULLI“ / უნივერსიტეტების, როგორც უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერება, 544251-TEMPUS-1-2013-1-GE-TEMPUS-JPHES) ფარგლებში ევროპელი ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წლიდან უწყვეტი განათლების ცენტრს შემოუერთდა სკოლებთან მუშაობის განყოფილება „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ და აბიტურიენტთა მომზადების განყოფილება, სტრატეგია განახლებას საჭიროებს. ამჟამად წარმოდგენილი განახლებული სტრატეგიული გეგმა ეყრდნობა მიმდინარე პროცესების ანალიზს და საჭიროებებს.

უწყვეტი განათლების ცენტრი

ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფერო

ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფეროა უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სისტემის განვითარებაზე ზრუნვა და კვლევაზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის უწყვეტი განათლების პროგრამების[1] შექმნა და განხორციელება.

ცენტრის დანიშნულებაა საუნივერსიტეტო და ფართო საზოგადოებისათვის უნივერსიტეტის რესურსებისა და გამოცდილების გამოყენების საშუალების მიცემა პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის, აკადემიური (საბაკალავრო, სამაგისტრო) განათლების მისაღებად საფუძვლების შექმნისათვის; სკოლებთან მჭიდრო თანამშრომლობა, კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ცოდნის გავრცელება, მოსწავლეებისათვის უნივერსიტეტის გაცნობა, სწავლის, მეცნიერების, სხვადასხვა პროფესიის მიმართ ინტერესის გაღვივება, პროფორიენტაციაში დახმარება.

ცენტრის მიერ შეთავაზებული საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების სამიზნე აუდიტორია იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: **შიდა საუნივერსიტეტო საზოგადოება** (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები) და **ფართო საზოგადოება** (ყველა დაინტერესებული პირი, მათ შორის სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და აბიტურიენტები).

[1] საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების ძირითადი ტიპებია სასერტიფიკატო კურსი და ტრენინგ-კურსი.

საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სასერტიფიკატო კურსი – სხვადასხვა ხანგრძლივობის საგანმანათლებლო პროგრამა (მოდული/კურსი), რომელსაც შეიძლება მიენიჭოს ან არ მიენიჭოს ECTS კრედიტი და რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მსმენელს ენიჭება შესაბამისი კურსის წარმატებით დასრულების სერტიფიკატი.

საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ტრენინგ–კურსი – მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსი, რომელიც ორიენტირებულია მსმენელთა სხვადასხვა კომპეტენციების, უნარ–ჩვევების გაღრმავებაზე, არ ენიჭება ECTS კრედიტი და რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა კურსში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ცენტრის სტრუქტურა

ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს, რომლის სტრუქტურაში მის ძირითად შემადგენლობასთან ერთად შედის ორი განყოფილება - აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება და საბავშვო უნივერსიტეტი.

ხედვა

უწყვეტი განათლების კონტექსტში თსუ უნდა გახდეს ლიდერი ქართულ უნივერსიტეტებს შორის საზოგადოებისათვის მაღალი ხარისხის, არჩევანის ფართო სპექტრის, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და პიროვნული განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზების, სასკოლო განათლების სისტემასთან თანამშრომლობის, შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობების განხორციელების გზით.

მისია

აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მისიაა, ფართო საზოგადოებას მისცეს საშუალება გამოიყენოს უნივერსიტეტის რესურსები და გამოცდილება პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, აკადემიურ პროგრამებში ჩასართავად აუცილებელი უნარების შესაძენად და ამგვარად ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ძირითადი მისიის განხორციელებას.

ძირითადი ღირებულებები

1. პროფესიონალიზმი;
2. ხარისხი;
3. გუნდურობა;
4. ნოვატორობა;
5. დახვეწილი სერვისი.

დაინტერესებული პირები და ორგანიზაციები

- თსუ-ის ხელმძღვანელობა;
- თსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი;
- თსუ-ის სტუდენტები და კურსდამთავრებულები;
- არასაუნივერსიტეტო ფართო საზოგადოება (მათ შორის სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები, აბიტურიენტები, მასწავლებლები);
- პარტნიორი ორგანიზაციები (კერძო და საჯარო სექტორი, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები).

მოზიდული თანხების განაწილების პრინციპები

ცენტრის მიერ მოზიდული თანხების ნაწილი განკუთვნილია პროგრამების განხორციელებაში მონაწილე პედაგოგების ანაზღაურებისათვის, კურსებისათვის საჭირო სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური მასალის შეძენისა და მომზადებისათვის. მოგების სახით აკუმულირებული თანხები გამიზნულია სხვა პროექტების განხორციელებისათვის (მაგ. უნივერსიტეტის პერსონალის მიზნობრივი გადამზადება, სტუდენტებისათვის სხვადასხვა პროგრამის შეთავაზება, საბავშვო უნივერსიტეტის ღონისძიებების განხორციელება, კონფერენციების, სემინარების, საჯარო ლექციების ორგანიზება, ცენტრის ინფრასტრუქტურის განვითარებაა და სხვ.).

კურსების საფასური და პედაგოგების ანაზღაურება ყოველი კურსისათვის დგინდება ინდივიდუალურად საფინანსო დეპარტამენტთან შეთანხმებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

ცენტრის ძირითადი ამოცანები

ამოცანა 1: საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება.

ამოცანა 2: ფართო საზოგადოებისათვის უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზება, უნივერსიტეტის პოპულარიზაცია და მისი როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება.

ამოცანა 3: უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების/კურსების/სემინარების ორგანიზება. სტუდენტებისათვის სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება უწყვეტი განათლების მიმართულებით.

ამოცანა 4: სკოლასთან თსუ საბავშვო უნივერსიტეტის თანამშრომლობით მოსწავლეებისათვის უნივერსიტეტის გაცნობა, მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის გაზრდა, მეცნიერებისადმი ინტერესის გაღრმავება, პროფორიენტაციაში დახმარება.

ამოცანა 5: საუნივერსიტეტო აკადემიურ პროგრამებში (ყველა საფეხური) ჩართვისათვის აბიტურიენტების მომზადება.

ცენტრის ძირითადი ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგები

ამოცანა 1: საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება.

საჭირო ღონისძიებები:

- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და ფაკულტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

- საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ეროვნული და რეგიონული ქსელების შექმნის ინიცირება;
- საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების საკითხებზე თანამშრომლობა საკანონმდებლო ორგანოსთან;
- შრომის ბაზრის და საზოგადოების მოთხოვნების საჭიროებების რეგულარული კველვა შესაბამისი პროგრამების შექმნის მიზნით;
- ცენტრის საქმიანობის რეგულარული ანალიზი და თვითშეფასება;
- საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების ხარისხის მართვის მექანიზმების დახვეწა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით; ინსტიტუციური რეკომენდაციების შემუშავება;
- სერტიფიცირებისა და უწყვეტი განათლების ფარგლებში მიღებული განათლების შიდა საუნივერსიტეტო აღიარების მექანიზმების შემუშავება და დახვეწა;[2]
- საუნივერსიტეტო სივრცეში და მის გარეთ საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების ძიება და ბაზების შექმნა;
- თსუ-ის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების უწყვეტი განათლების პროგრამების განვითარებაში ჩასართავად დაინტერესების დამატებითი მექანიზმების შემუშავება;
- ადამიანური რესურების განვითარების მიზნით სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ ტრენინგებისა და ვორქშოფების ორგანიზება საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების განმახორციელებელი პედაგოგებისათვის;
- ტრენინგ-კურსების და სასერტიფიკატო კურსების დაგეგმვისა და ჩატარების სტანდარტების შემუშავება უწყვეტი განათლების პროგრამების პედაგოგებისათვის;
- საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციებისა და ვორქშოფების ორგანიზება საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების საკითხებზე.

მოსალოდნელი შედეგები:

- დახვეწილი საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სისტემა თსუ-ში;
- თსუ ლიდერი ქართულ უნივერსიტეტებს შორის საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სფეროში;
- აქტიური მონაწილეობა უწყვეტი განათლების საკითხებთან დაკავშირებულ ყველა პროცესში როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე;
- რეგიონული პლატფორმის არსებობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება უწყვეტი განათლების პროგრამების მეზობელი ქვეყნებისათვის შეთავაზება და გაცვლითი პროგრამების შექმნა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს უწყვეტი განათლების ინტერნაციონალიზაციას;
- საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების კონკურენტუნარიანი პედაგოგები;
- მუდმივად განახლებადი, შრომის ბაზრისა და საზოგადოების ინტერესებს მორგებული უწყვეტი განათლების პროგრამები.

ინდიკატორები:

- კვლევებისა და თვითშეფასების ამსახველი დოკუმენტები;
- გადამზადებული პედაგოგების რაოდენობა;
- ორგანიზებული კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების და მონაწილეთა რაოდენობა.

[2] მიმდინარე წლის 12 ნოემბერს პირველი მოსმენით საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის მიზანია შექმნას თავისუფალი მსმენელისა და სასერტიფიკაციო კურსის სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარების სამართლებრივი მექანიზმი, რაც გაამყარებს უწყვეტი და მთელის სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპს.

ამოცანა 2: ფართო საზოგადოებისათვის უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზება, უნივერსიტეტის პოპულარიზაცია და მისი როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება.

საჭირო ღონისძიებები:

- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და ფაკულტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობა ახალი პროგრამების შექმნის მიზნით;
- უწყვეტი განათლების პროგრამებისათვის პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, ბიზნესის სექტორთან, ადგილობრივი თვითმმართველობის, პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვ. თანამშრომლობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით.
- შრომის ბაზრის ინტერესების გათვალისწინებით საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნა და დანერგვა;
- საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების ღირებულების განსაზღვრა უნივერსიტეტისა და მსმენელების ინტერესების გათვალისწინებით;
- სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისათვის სწავლების შესაბამისი მეთოდების განსაზღვრა;
- საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების ადმინისტრირება;
- თსუ-ის კურსდამთავრებულთათვის სპეციალური შეთავაზებების დაგეგმვა და განხორციელება;
- გარე საზოგადოებისათვის თსუ-ის უწყვეტი განათლების პროგრამების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად ეფექტიანი საინფორმაციო არხების იდენტიფიცირება სამიზნე აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით და მათი გამოყენება (ვებგვერდი, ელფოსტა, საინფორმაციო ბუკლეტები და პლაკატები, ინტერნეტ-რეკლამა, ვიდეორეკლამა და ა.შ.);
- მსმენელების მოზიდვის მიზნით შესაბამისი საინფორმაციო და სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება;

მოსალოდნელი შედეგები

- უნივერსიტეტის მიერ საზოგადოებისათვის შეთავაზებული სერვისების, მისი როლის გაძლიერება სასწავლო კომპონენტში მზარდი უწყვეტი განათლების პროგრამების საშუალებით;
- თსუ–ის კავშირების გაძლიერება შრომით ბაზართან და მისი მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნილი პროგრამების შეთავაზება საზოგადოებისათვის, ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში აქტიური მონაწილეობა;
- მჭიდრო კავშირების დამყარება სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებტან, კერძო სექტორთან, საზოგადოებრივი აზრის განმსაზღვრელ სხვა სტრუქტურებთან, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის როლის გაძლიერებას და პოპულარიზაციას;
- მჭიდრო კონტაქტების დამყარება კურსდამთავრებულებთან;
- დამატებითი შემოსავლების მიღება.

ინდიკატორები:

- ფართო საზოგადოებისათვის შეთავაზებული უწყვეტი განათლების პროგრამების რაოდენობა;
- უწყვეტი განათლების პროგრამების მსმენელების რიცხვი;
- მოზიდული ფინანსები.

ამოცანა 3: უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების/კურსების/სემინარების ორგანიზება. სტუდენტებისათვის სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება უწყვეტი განათლების მიმართულებით.

- უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული საჭიროებების შესახებ გამოკითხვების წარმოება და მათთვის შესაბამისი ტრენინგების/კურსების ორგანიზება,
- შიდა საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის განკუთვნილი პროგრამების დაფინანსება ცენტრის მიერ განხორციელებული კომერციული კურსების შედეგად მოზიდული ფინანსებით;
- საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირება უწყვეტი განათლების პროგრამებში მათი ჩართვის შესაძლებლობების შესახებ;
- უნივერსიტეტის სტუდენტების საჭიროებების კვლევა და მათთვის შესაბამისი უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზება;
- პროექტს „სტუდენტები სტუდენტებისათვის“ გაგრძელება და სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო კონკურსების შეთავაზება.

მოსალოდნელი შედეგები:

- უნივერსიტეტის ძირითადი მისიის განხორციელების ეფექტიანობის ზრდა მუდმივად მზარდი კვალიფიკაციის მქონე და უახლესი მიღწევების შესახებ ინფორმირებული თანამშრომლების საშუალებით;
- შიდა საუნივერსიტეტო საზოგადოებაში კორპორატიული ერთიანობის განცდის გაღრმავება არასამუშაო გარემოში უწყვეტი განათლების პროგრამებში ერთობლივად მონაწილეობის საშუალებით;
- სტუდენტების მრავალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილება.

ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის პესრონალისათვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შეთავაზებული პროგრამების რაოდენობა;
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ორგანიზებულ პროგრამებში მონაწილე პერსონალის რიცხვი;
- უწყვეტი განათლების პროგრამებში ჩართული სტუდენტების რიცხვი.

ამოცანა **4:** სკოლასთან თსუ საბავშვო უნივერსიტეტის თანამშრომლობით მოსწავლეებისათვის უნივერსიტეტის გაცნობა, მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის გაზრდა, მეცნიერებისადმი ინტერესის გაღრმავება, პროფორიენტაციაში დახმარება.

საჭირო ღონისძიებები:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურს ცენტრებთან, სკოლების ხელმძღვანელობასთან, მასწავლებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა, მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო, შემეცნებითი, შემოქმედებითი პროგრამების შერჩევა.

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურს ცენტრებთან, სკოლების ხელმძღვანელობასთან მჭიდრო თანამშრომლობა ახალი პროგრამების შესახებ სკოლებში ინფორმაციის მიწოდების ხელშეწყობის მიზნით.
- თსუ საბავშვო უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეთათვის რელევანტური თემატიკის პროგრამების შედგენა და შეთავაზება.
- სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეთა საგანმანათლებლო, შემეცნებით, შემოქმედებით პროგრამებში ჩართვის შესატყვისი მეთოდოლოგიის განსაზღვრა.
- თსუ-ში მოსწავლეების მოწვევა, თსუ-ისა და თსუ საბავშვო უნივერსიტეტის „ღია კარის“ შეხვედრების ჩატარება.
- რეგიონის სკოლებში გეგმიური გასვლა, თსუ-ისა და თსუ საბავშვო უნივერსიტეტის „ღია კარის“ შეხვედრების ჩატარება.
- მოსწავლეებთან კონტაქტის დისტანციური მეთოდების დანერგვა, დისტანციური ლექციების, საუბრების და ა.შ. ორგანიზება.
- მოსწავლეთათვის პროფესიების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, პროფორიენტაციაში ლექციების ჩატარება.
- ქვეყნის მასშტაბით თემატური კონფერენციების, ვიქტორინების, კონკურსების ჩატარება, მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვით.

მოსალოდნელი შედეგები

- სკოლისა და უნივერსიტეტის დაახლოება, მოსწავლეებისათვის საუნივერსიტეტო გარემოს გაცნობა.
- ქალაქისა და რეგიონის მოსწავლეებში საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ გაუცხოების გადალახვა, მომავალი სტუდენტობისათვის მომზადება, საკუთარი ძალების რწმენის გაზრდა.
- მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის, მეცნიერებისადმი ინტერესის გაზრდა.
- მომავალი პროფესიის გაცნობიერებულ შერჩევაში, პროფორიენტაციაში დახმარება.

ინდიკატორები:

- მოსწავლეებისადმი განკუთვნილი საგანმანათლებლო, შემეცნებით, შემოქმედებით პროგრამების რაოდენობა და ხარისხი.
- თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ღონისძიებებში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა.
- თსუ-ის ცნობადობის ზრდა.

ამოცანა 5: საუნივერსიტეტო აკადემიურ პროგრამებში (ყველა საფეხური) ჩართვისათვის აბიტურიენტების მომზადება.

საჭირო ღონისძიებები:

- აბიტურინტთა მოსამზადებელი კურსების მუდმივი განახლება და ადმინისტრირება.
- დაინტერესებული პირების ინფორმირება კურსების შესახებ.
- თსუ აბიტურიენტთა მომზადების კურსებზე დარეგისტრირებული აბიტურიენტების კონსულტირება.
- თსუ-ში არსებული საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამების პოპულარიზება.

მოსალოდნელი შედეგები

- აბიტურიენტებისათვის მაღალი ხარისხის მოსამზადებელი კურსები;
- აბიტურიენტთა რაოდენობის ზრდა,
- თსუ-ის აკადემიური პროგრამებიტ დაინტერესებული სტუდენტების რაოდენობის ზრდა;

ინდიკატორები:

- კურსებზე დარეგისტრირებული აბოტურიენტების რაოდენობა;
- მოზიდული ფინანსები.

სტრატეგიული გეგმის განხორციელების კონტროლის მექანიზმი:

- ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა რექტორისათვის, აკადემიური საბჭოსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის;
- დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების უკუკავშირი;
- სტრატეგიის გადახედვა და განახლება ყოველ 3 წელიწადში.

რისკ ფაქტორები

- ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება;
- ქვეყანაში უწყვეტი განათლების შესახებ შესაბამისი რეგულაციების არ არსებობა;
- უწყვეტი განათლების პროგრამებში ჩართვისათვის დაინტერესების ინსტიტუციონალური მექანიზმების არ არსებობა.

სტრატეგიის შექმნისას გამოყენებული ნორმატიული აქტები და დოკუმენტები:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №135/ნ, 2013წლის 11 სექტემბერი;
2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება; დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებებით (2013 წლის 7 თებერვლის #1 და 2014 წლის 9 ოქტომბრის #6 ოქმებით);
3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების კურსების – სასერტიფიკატო, ტრენინგ–კურსის დამტკიცებისა და განხორციელების პროცედურის შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება №66/2016, 27 ივნისი, 2016;
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების კურსების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის შემუშავების, დამზადების,

გაცემის, შენახვის, აღრიცხვა–ანგარიშგებისა და განადგურების შესახებ რექტორის ბრძანება №:117/01-01, 2011-11-09;
5. სტრატეგია ზრდასრულთა განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში, ციური ანთაძე, ლალი ბაქრაძე, თამარ ბრეგვაძე, ირინე დარჩია, ლიკა ღლონტი, თბილისი 2009;
6. "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა" საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ირინე დარჩია, თბილისი 2009;
7. European Universities's Charter on Lifelong Learning, EUA, Brussels 2008;
8. Engaging in Lifelong Learning: Shaping Inclusive and Responsive Strategies, Hanne Smidt, Andree Sursock, EUA, Brussels 2011;